დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ფოტოხელოვნება

ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი

14 ივლისი, 2026

დასკვნის წარდგენის თარიღი

17 აგვისტო, 2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 19

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 24

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ ჩხეიძე,** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მაია ლევანიძე,** საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თინათინ გაბრიჩიძე,** ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**ფოტოხელოვნება**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	**Photography**
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**ხელოვნების ბაკალავრი ფოტოხელოვნებაში;**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**0211 აუდიო-ვიზუალური ტექნიკა/მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	**ქართული**
ECTS კრედიტების რაოდენობა	**240**
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	**აკრედიტებული, გადაწყვეტილება N21610, 12.01.2024**
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	**შემოქმედებითი ტური**
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (16.06.2026 N MES 7 26 0000719746) შესაბამისად 2026 წლის 14 ივლისს **სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო** აკადემიაში განხორციელდა საბაკალავრო პროგრამის „ფოტოხელოვნების“ გეგმიური მონიტორინგი, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით - MES 1 24 0000021610, 12.01.2024 (ძალაში შესვლის თარიღი 22.12.2023) „ფოტოხელოვნების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა კლასტერის ვადით, 2030 წლის 22 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და 1.1, 1.4 და 1.5 კომპონენტები, ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შესაბამისად, 1 სტანდარტი ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან". ასევე, 2.4 და 3.1 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან", ხოლო 4.5 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან". საბოლოოდ განისაზღვრა **19 კლასტერული** და **14 პროგრამული** რეკომენდაცია.
დაწესებულების მიერ წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში აკრედიტაციის საბჭომ **ცნობად არ მიიღო** (რეკომენდაციების უმრავლესობა მეტწილად შესრულებულად ჩაითვალა) და საბჭომ მიმართა ცენტრს 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე (საბჭოს სხდომის ოქმი N 4 25 0000977513, 13.08. 2025).
მოიტორინგის ვიზიტის განხორციელებამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გამართეს სამუშაო შეხვედრა, შეისწავლეს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიწოდებული დოკუმენტაცია: აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, ანგარიშის თაობაზე ექსპერტის დასკვნა, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი და მონიტორინგის პროცესისთვის დაწესებულებიდან გამოთხოვილი დოკუმენტაცია (რომელიც მოიცავდა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას, რეკომენდაციების შესრულების ამსახველი მასალებს და დამადასტურებელი დოკუმენტაციას).
2026 წლის 14 ივლისს წინასწარ დადგენილი განრიგის მიხედვით, თითოეულ მიზნობრივ ჯგუფთან ინდივიდუალურად (ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან, დამსაქმებლებთან/სტაჟირების განმახორციელებელ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან) ჩატარდა სამუშაო შეხვედრები/ინტერვიურება, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსების შესწავლა/ დათვალიერება. ვიზიტი კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა, აკადემიის წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ თანამშრომლობით და ღია იყვნენ დისკუსიებისა და რჩევებისადმი. შეხვედრები გაიმართა მშვიდ, კოლეგიალურ გარემოში. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.
ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულების წარმომადგენლებს მოწესრიგებული დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის, დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების სწრაფი მოწოდებისთის, რამაც გაუდვილა ექსპერტთა ჯგუფს მონიტორინგის პროცესში დოკუმენტების შესწავლა, საანგარიშო

პერიოდში დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების ანალიზი და რეკომენდაციების შესწავლის მდგომარეობის შეფასება.

„ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობებთან მონიტორინგის გზით შესაბამისობის შეფასების ფარგლებში განსაზღვრულია აკრედიტაციის (1-ლი სტანდარტის, მე-2 სტანდარტის 2.4 კომპონენტის, მე-4 სტანდარტის 4.3 და 4.4 კომპონენტების და მე-5 სტანდარტის 5.1 და 5.3 კომპონენტების შეფასება)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

● რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების მეთოდების შემუშავებაში და შედეგების შეფასებაში; მხარი დაუჭიროს მათ პროცესისთვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის გამომუშავებაში;

● რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები; რუკებზე დაყრდნობით, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მითითებით, რომლებიც დაზუსტებული უნდა იყოს თითოეული პროგრამისთვის, სპეციალობის სპეციფიკისა და მათი სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ამ პროცესში ტერმინოლოგია უკეთესად უნდა იყოს ასახული და მოწესრიგებული; გამოყენებული უნდა იყოს აუდიოვიზუალური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია, რადგან ახლა ის ზედმეტად ზოგადია;

● რეკომენდებულია, შრომის ბაზრის საფუძვლიანი ემპირიული ანალიზის ჩატარება, რაც მიზნად ისახავს ზუსტად დადგინდეს ის რეკვიზიტები, რომლებიც საჭიროებენ დამსაქმებლების მიერ აღნიშნული დამატებითი სწავლების აუცილებლობას კურსდამთავრებულებისთვის. ამ ემპირიული კვლევის შემდეგ, სასწავლო კურსები უნდა დაკორექტირდეს, გამოვლენილი მოთხოვნების შესაბამისად. ეს ძალისხმევა უზრუნველყოფს კლასტერის კურსდამთავრებულებისთვის აუცილებელი ცოდნის სფეროების ყოვლისმომცველ დაფარვას, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მიერ გამოხატული კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად;

● რეკომენდებულია, შეფასების მეთოდების გადახედვა და შეცვლა, საგნების სპეციფიკის შესაბამისად;

● რეკომენდებულია დაინერგოს გამჭვირვალე და თანაბრად დაცული კრიტერიუმები საბოლოო ნაშრომის შესაფასებლად, ხელმძღვანელობის ინდივიდუალურ შემთხვევებში მიკერძოების განეიტრალებისთვის.

● რეკომენდებულია შემცირდეს პროგრამის მართვაში ერთპიროვნულობის რისკი და განიტვირთოს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა (რომელიც ასევე მოქმედებს როგორც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი და ფაქტობრივად, ასევე ჩართულია აქ განხილული სხვა პროგრამების მართვაში). ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს ისე, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა, რომლებიც ამჟამად ნომინირებულნი არიან, მაგრამ არ აქვთ რეალურად უფლებამოსილება (ან ცოდნა, პროცესების კომპეტენცია, სტუდენტების შერჩევა, პროგრამის განახლება, დამსაქმებლებთან კონტაქტი და ა.შ.) რეალურად იზრუნონ თავიანთ პროგრამებზე.

● თუკი მედიახელოვნების პროგრამები მიიღებენ აკრედიტაციას, რეკომენდებულია, რომ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის პროგრამებს ჰყავდეთ ცალ-ცალკე ხელმძღვანელები, და თუკი აკრედიტაცია მიენიჭება ინგლისურენოვან პროგრამებს, მაშინ მათ ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ენის ცოდნა.

● რეკომენდებულია ინვესტიცია ჩაიდოს მასწავლებელთა მუდმივ პროფესიულ განვითარებაში. მიეწოდოთ მათ განახლებული ინფორმაცია უახლეს კვლევებსა და განათლების საუკეთესო პრაქტიკებზე.

● რეკომენდებულია დაინერგოს წახალისების მექანიზმი მოწვეული პერსონალის ამჟამად არაანაზღაურებადი სამუშაოს დასაჯილდოვებლად, განსაკუთრებით მათ ადმინისტრაციულ და ხელმძღვანელობით საქმიანობაში.

● რეკომენდებულია გაიმიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელების და ფაკულტეტის დეკანის უფლება-მოვალეობები. განისაზღვროს პროგრამის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა პროგრამების შემუშავების, სრულყოფის და განვითარების საქმეში.

● რეკომენდებულია ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენცია

● რეკომენდებულია აუცილებელია ტექნიკური ბაზის გაძლიერება, რაც პირდაპირ კავშირშია თანხების მოზიდვასთან.

- რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას სტრატეგიული და ეფექტური მიდგომა პროგრამებში ახალი აღჭურვილობის შესაძენად. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს სტუდენტებს.
- რეკომენდებულია დასრულდეს სასწავლო სივრცეების მოწყობა.
- რეკომენდებულია უსდ ამბიციურად მიუდგეს სასწავლო სივრცეების დასრულებას და უზრუნველყოს მხოლოდ სტუდენტური სამუშაოსთვის განკუთვნილი ადგილი (სტუდია) მინიმუმ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის.
- რეკომენდებულია პროგრამების ბიუჯეტის დაგეგმვის, როგორც სტრატეგიული მიდგომის ჩამოყალიბება და ყველა პროგრამის საბიუჯეტო ხაზის გადახედვა ბიუჯეტში კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და პროგრამების საერთო განვითარებისათვის საჭირო ხარჯების, განსაკუთრებით აღჭურვილობის შეძენისათვის განკუთვნილი ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით.
- რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის ხარსხი, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და მათი თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან, რადგან ჩანს რომ, ახალგაზრდა პერსონალი, ინფორმირებულია და მოტივირებულია ამისთვის.
- რეკომენდებულია, გამოკითხვის კითხვარების საფუძვლიანი სისტემატიზაცია და IT მხარდაჭერა მომხმარებლის გამოცდილებისა და ფუნქციონალურობის თვალსაზრისით, ისევე როგორც სტუდენტებს შორის გამოკითხვების თანმიმდევრული პოპულარიზაცია, რათა მონაცემები (რომელზეც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ასე ძლიერ არის დამოკიდებული) იყოს შესაბამისი და თანმიმდევრული.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგების საფუძვლიანი და სისტემატური ანალიზი ინდივიდუალური პროგრამისა და სასწავლო კურსის დონეზე. მიგნებები უნდა განხორციელდეს ციკლურად, რათა გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის სრულად შეკრული ციკლით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოხელოვნება“ რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ფოტოხელოვნების პროგრამის მიზნები განისაზღვროს მკაფიოდ, დაუკავშირდეს ცალკეული კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ასევე შეესაბამებოდეს დამსაქმებელთა საჭიროებებს.
- რეკომენდებულია შესაბამისობაში მოვიდეს ცალკეული კურსების მიზნები პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და დამსაქმებელთა მოთხოვნებთან.
- რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის შიდა შესაბამისობა და სწავლების ტექნოლოგიებსა და მეთოდებზე გაკეთდეს რეალური მითითება.
- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას, შეიცავდეს დარგისთვის საჭირო ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას და იყოს თანმიმდევრული.
- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი „ფოტოგრაფიის ისტორია და ხელოვნება“.
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის საგნობრივი ბადე და მასში შევიდეს ცვლილებები პროგრამის სწავლის შედეგებისა და ამოცანების გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია დამსაქმებლები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები და აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების „საკურსო“ და „პორტფოლიო“ სილაბუსები, რადგან ისინი ნაწილობრივ არათანმიმდევრულია მიზნებისა და სწავლების მეთოდების თვალსაზრისით.

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის „2D რასტრული გრაფიკა“ სილაბუსი, რადგან არსებული შინაარსი ზედაპირულია და ვერ უზრუნველყოფს ფოტოხელოვანისთვის საჭირო პრაქტიკული ხელსაწყოების სრულფასოვან შესწავლას.
- რეკომენდებულია მოძველებული სავალდებულო ლიტერატურა ჩანაცვლდეს თანამედროვე გამოცემებით.
- რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურაში დაემატოს ქართულენოვანი წყაროები.
- რეკომენდებულია დამხმარე ლიტერატურაში მიეთითოს უცხოენოვანი წყაროები.
- რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ქართულენოვანი ლიტერატურა, ინგლისური ენის ცოდნა განისაზღვროს წინაპირობად.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების „თავისუფალი პროექტი“, „თავისუფალი პროექტი/თემატური“ და „სარეკლამო და საიმიჯო ფოტოგრაფია“ სილაბუსების შინაარსი, რათა თავიდან იქნეს აცილებული თემატიკის გამეორება და დუბლირება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად გამოვლინდა, რომ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით, თსსა-ს მედიახელოვნების ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა **სამუშაო ჯგუფი** შემდეგი შემადგენლობით: თსსა-ს და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პედაგოგები, სტუდენტები, დამსაქმებლები. **სამუშაო ჯგუფის მიზანად** განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი, სტრუქტურული და პრაქტიკული კომპონენტების გადახედვა და გაუმჯობესება აკრედიტაციის სტანდარტებისა და გარე შეფასებებით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.
ჯგუფის მიერ **მუშაობის პროცესში გათვალისწინებულ იქნა** შრომის ბაზრის მოთხოვნები, სტუდენტების ინტერესები და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები. მონაწილეებმა აქტიურად ჩაატარეს პროგრამების ანალიზი, განავითარეს სასწავლო მასალები და დაადგინეს გასაუმჯობესებელი ველები პროგრამების განვითარებისთვის.
მონიტორინგის შედეგად, აკრედიტაციის ჯგუფმა განსაზღვრა **2 რეკომენდაცია (1.5. და 2.4 კომპონენტებში)**, თუმცა სტანდარტები მთლიანობაში შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - **1.5. გადაიხედოს და დაზუსტდეს სასწავლო კურსის — „აუდიოვიზუალური საკურსო ნამუშევარი“ დასახელება და შინაარსი: აუცილებელია აღნიშნული კურსის სათაური და შინაარსი უფრო ნათლად დაუკავშირდეს ფოტოგრაფიის სპეციფიკას. ვინაიდან არსებული ფორმულირება „აუდიოვიზუალური“ გულისხმობს მოძრავი გამოსახულებისა და კინო/მედიახელოვნების კომპეტენციებს, იგი სცილდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის:**

ხელოვნების ბაკალავრი ფოტოხელოვნებაში ფარგლებს, რომელიც თავისი არსით სტატიკურ გამოსახულებას ეფუძნება.

- 2.4. - რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანება N3-ის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი"-ს მიხედვით) შესაბამისად;

- **რჩევები**

-

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

  - **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

  - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[4]

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

თუმცა, ვინაიდან რეკომენდაცია შესრულდა აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ, ხოლო დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ ანგარიშსა და ვიზიტის ფარგლებში დადასტურებულ შესაბამისობას, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას მოხსნას რეკომენდაცია. ამდენად, რეკომენდაცია რჩება ძალაში.

წერილის ნომერი ჩავამატო!!

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თსსა-ს არგუმენტირებულ პოზიციას „ფოტოხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, დასკვნის პროექტებში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხიდან ირკვევა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ორივე რეკომენდაცია გათვალისწინებულია, რაც ადასტურებს დაწესებულების განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულების წარმომადგენლებს ხარვეზების სწრაფად გამოსწორებისთვის. თანდართული დოკუმენტაციის გაცნობით დასტურდება, რომ დაზუსტდა სასწავლო კურსის სახელწოდება - „საკურსო ნამუშევარი/პროექტი 2“, გადაიხედა და დაკორექტირდა სილაბუსის შინაარსი - “აუდიოვიზუალური” შეიცვალა უძრავი გამოსახულებების, კადრებს შორის stop-motion-ის, ფოტოგრაფირების თანმიმდევრული გამოყენებით მოძრაობისა და დროის ვიზუალიზაციის შემოქმედებითი მეთოდით.

ასევე, ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ ჩატარდა ფაკულტეტის საბჭო, რომელზეც განიხილეს და გადაამუშავეს დოკუმენტი “მედიახელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქცია, ნაშრომის დაცვა და შეფასების კრიტერიუმები”. ამჟამინდელი მდგომარეობით რეკომენდაციები შესრულებულია, თუმცა ვინაიდან ხარვეზი გამოსწორდა აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ, ხოლო ექსპერტთა დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ ანგარიშსა და ვიზიტის ფარგლებში დადასტურებულ შესაბამისობას, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას მოხსნას რეკომენდაცია. ამდენად, რეკომენდაციები დარჩა ძალაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია**
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია**
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	**მეტწილად შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**აირჩიეთ შესაბამისი**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**აირჩიეთ შესაბამისი**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	**აირჩიეთ შესაბამისი**
2.4	სტუდენტების შეფასება	**მეტწილად შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**აირჩიეთ შესაბამისი**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4.4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**აირჩიეთ შესაბამისი**
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**აირჩიეთ შესაბამისი**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზის, მიზნობრივ ჯგუფებთან ჩატარებული შეხვედრების, მონიტორინგის ანგარიშის, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის დოკუმენტის გაცნობის საფუძველზე იკვეთება რომ, პროგრამის განმახორციელებლებმა სამუშაო ჯგუფთან ერთად განიხილეს ექსპერტთა რეკომენდაცია და განახორციელეს პროგრამის მიზნების გადამუშავება.

პროგრამის მიზნები დაზუსტდა, ჩამოყალიბდა უფრო მკაფიოდ და შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის სწავლის შედეგებთან, აგრეთვე სასწავლო კურსების მიზნებსა და სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შიდა თანმიმდევრულობას.
პროგრამის მიზნების განახლების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ დამსაქმებლები, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი პრაქტიკოსი სპეციალისტები. მათი რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამის მიზნებში უფრო მკაფიოდ აისახა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნები, მათ შორის ტექნიკური კომპეტენციების, შემოქმედებითი პროექტების განხორციელების, პროფესიული კომუნიკაციის, დამკვეთთან თანამშრომლობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარების მიმართულებები.
შედეგად, პროგრამის მიზნები ორიენტირებულია როგორც დარგის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებაზე, ისე იმ კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია ფოტოხელოვნების, ვიზუალური კომუნიკაციის, რეკლამისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
პროგრამის მიზნები ამგვარი სახითაა წარმოდგენილი:

- სტუდენტს შეასწავლოს ფოტოხელოვნების საფუძვლები, გააცნოს ფოტოგრაფიაში მუშაობის პრინციპები, შესძინოს ტექნიკური და თეორიული ცოდნა ფოტოგრაფიაში და შეასწავლოს სხვადასხვა ფორმატის ანალოგური და ციფრული კამერების გამოყენება.
- შეასწავლოს ციფრული პროდუქტის შექმნა დოკუმენტური ფოტოგრაფიის, პორტრეტის, ნატურმორტის, ბუნების, ინტერიერისა და არქიტექტურის

მიმართულებით; გააცნოს შიდა და გარე განათების სხვადასხვა ტიპის მოწყობილობები და მათი გამოყენების ტექნიკური დეტალები.

- შეასწავლოს ფოტოხელოვნების, ვიზუალური კომუნიკაციის, რეკლამის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის არსი და მათი კომპლექსური გამოყენების პრინციპები.
- შეასწავლოს ნახატის, ფერის, კომპოზიციისა და პერსპექტივის კანონები; განუვითაროს ციფრულ-მოცულობითი და შემოქმედებითი აზროვნება; შეასწავლოს კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენება მხატვრულ-შემოქმედებით საქმიანობაში და ინსტალაციის პროცესში აუდიო (ხმის) დიზაინის შექმნა.
- განუვითაროს ფოტოპროექტზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარები; ჩამოუყალიბოს შემოქმედებითი, ტექნიკური და პროფესიული კომპეტენციები სარეკლამო და შემოქმედებით ინდუსტრიებში საქმიანობისთვის.
- გამოუმუშაოს პროფესიული პასუხისმგებლობის, დამკვეთთან ეფექტიანი კომუნიკაციისა და უწყვეტი პროფესიული თვითგანვითარების უნარი.

წარმოდგენილი პროგრამის მიზნები მართლაც პასუხობს რეკომენდაციას, რადგან მათში აისახა:

- ფოტოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;
- ანალოგური და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება;
- ვიზუალური კომუნიკაცია და რეკლამა;
- დამოუკიდებელ ფოტოპროექტზე მუშაობა;
- პროფესიული პასუხისმგებლობა;
- დამკვეთთან კომუნიკაცია;
- პროფესიული თვითგანვითარება.

ამრიგად, ფოტოხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება მედიახელოვნების სწავლის სფეროს სპეციფიკას, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) მოთხოვნებსა და პროგრამის თავისებურებებს, ასევე ფოტოხელოვნების საერთაშორისო პრაქტიკასა და შესაბამისი სფეროს პროფესიულ სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სილაბუსები და პროგრამის სხვა დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- -

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელმა სამუშაო ჯგუფმა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური მონაწილეობით, განახორციელა პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიზნების კომპლექსური გადახედვა. ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამის სწავლის შედეგები დაზუსტდა და მოდიფიცირდა ისე, რომ სრულად ასახავს ფოტოხელოვნების დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს და გამოირჩევა შიდა თანმიმდევრულობით.
გადაიხედა სასწავლო კურსების მიზნები და უზრუნველყოფილ იქნა მათი შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან, პროგრამის სწავლის შედეგებსა და კურსების სწავლის შედეგებთან. შედეგად, თითოეული სასწავლო კურსი მიზანმიმართულად ემსახურება პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების სრულფასოვან განხორციელებას. აღნიშნული შესაბამისობა ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში (Curriculum Mapping), რომელიც ადასტურებს პროგრამის შიდა ლოგიკურ კავშირსა და თანმიმდევრულობას.
პროგრამის გადამუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სწავლებისა და სწავლის მეთოდების დაზუსტებას. გადაიხედა სასწავლო კურსების სილაბუსები და თითოეული კურსისთვის განისაზღვრა შესაბამისი სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, რომლებიც უშუალოდ ემსახურება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც თეორიული სწავლების, ისე პრაქტიკული, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები, მათ შორის: პრაქტიკული მუშაობა ფოტოატელიესა და საველე პირობებში, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, სტუდიური პრაქტიკა, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებები, დისკუსია, პრეზენტაცია, პორტფოლიოს შექმნა, ციფრული ტექნოლოგიებისა და პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება.
პროგრამის განახლების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი დამსაქმებლები, რომელთა ნაწილი თავად არის პროგრამის განმახორციელებელი. მათი რეკომენდაციების საფუძველზე დაზუსტდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ორიენტაციას თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროფესიული პრაქტიკის, ვიზუალური კომუნიკაციის, ციფრული ტექნოლოგიების, პროექტების მართვის, დამკვეთთან კომუნიკაციისა და დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაზე.

ამრიგად, განახლებული პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ ფოტოხელოვნების სფეროს ძირითადი მიმართულებების, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებისა და ვიზუალური კომუნიკაციის პრინციპების ცოდნას; პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ ასახავს ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიზნებს და შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამის დონეს, ფოტოხელოვნების საერთაშორისო პრაქტიკასა და შესაბამისი სფეროს პროფესიულ სტანდარტებს. სწავლის შედეგები რეალისტური, გაზომვადი და კვალიფიკაციის შესაბამისია და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მზადყოფნას პროფესიული საქმიანობისა და შემდგომი აკადემიური განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სილაბუსები და პროგრამის სხვა დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- -

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.2 პროგრამის სწავლის შედეგები]	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და დანერგილია შესაბამისი მექანიზმები. ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამისთვის, აკადემიაში დანერგილი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის შესაბამისად, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და სამიზნე ნიშნულები.

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა როგორც არსებული მექანიზმებისა და მეთოდოლოგიის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე ექსპერტთა მიერ აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების დონე.

სტანდარტის კომპონენტ 1.3-თან მიმართებით, გაცემული იყო ორი კლასტერული რეკომენდაცია:

- *რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების მეთოდების შემუშავებაში და შედეგების შეფასებაში; მხარი დაუჭიროს მათ პროცესისთვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის გამომუშავებაში.*

- *რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები; რუკებზე დაყრდნობით, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მითითებით, რომლებიც დაზუსტებული უნდა იყოს თითოეული პროგრამისთვის, სპეციალობის სპეციფიკისა და მათი სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ამ პროცესში ტერმინოლოგია უკეთესად უნდა იყოს ასახული და მოწესრიგებული; გამოყენებული უნდა იყოს აუდიოვიზუალური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია, რადგან ახლა ის ზედმეტად ზოგადია.*

ექსპერტთა ჯგუფმა, აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, ორივე რეკომენდაცია შეაფასა, როგორც შესრულებული.

პირველი რეკომენდაციის შესრულების მიზნით, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარდა შეხვედრები, ტრენინგები, ისინი ჩართული იყვნენ რეკომენდაციების შესრულების პროცესში, რაც, მათ შორის, გულისხმობდა მათ ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმების განახლებაში. ანგარიშთან ერთად, წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფების ოქმები და შეხვედრების მტკიცებულებები. პერსონალის ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებასა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ასევე დადასტურდა ინტერვიუს შედეგებით - მათ აქვთ როგორც შესაბამისი ცოდნა და უნარები პროცესის წარმართვისთვის, ასევე გამოცდილება როგორც პროცესის დაგეგმვის, ასევე განხორციელების ნაწილში.

ასევე შესრულებულია მეორე რეკომენდაცია - ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში ინტეგრირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც ასახავს როგორც სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირს, ასევე პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის დონეს სამ დონეზე - გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება. თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული.

სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებისთვის გამოიყენება როგორც სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზი ე.წ. გაუსის განაწილებით, რაც დასტურდება განხორციელებული შეფასების შედეგებით, ასევე, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან, კერძოდ, სამიზნე ნიშნულები ითვალისწინებს სტუდენტთა პროცენტულ რაოდენობას, რომელიც მიიღებს დადებით შეფასებას. დოკუმენტაციაში, როგორც აღინიშნა, წარმოდგენილია შეფასების შედეგებიც, რაც ადასტურებს პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების პრაქტიკას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის ასევე გამოიყენება შეფასების არაპირდაპირი მეთოდები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების/კურიკულუმის რუკა დაიხვეწა და გაუმჯობესდა დოკუმენტაციისა და ანგარიშის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში

წარმოდგენის შემდეგ. კერძოდ, ექსპერტებს ვიზიტზე წარედგინათ განახლებული კურიკულუმის რუკა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დონის განსაზღვრისას ითვალისწინებს სემესტრულ პროგრესიას. ყოველი სწავლის შედეგი ღრმავდება სამ დონეზე, ლოგიკურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების/კურიკულუმის რუკა;
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ოქმები;
- ჩატარებული ტრენინგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და განხორციელებული შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- -

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფოტოხელოვნება" მოიცავს 240 ECTS კრედიტს, გათვლილია 4 წელზე (8 სემესტრზე) და 1 ECTS კრედიტი განისაზღვრება 25 საათით, რაც სრულად შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი კურსების საათობრივი გადანაწილება, კერძოდ, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, სისტემურად შეესაბამება მინიჭებული კრედიტების რაოდენობას. პროგრამა

შემუშავებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, ხოლო მისი შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა სრულად შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს.

სასწავლო პროგრამა თანმიმდევრულად ვითარდება საბაზისო კურსებიდან მაგალითად: კომპოზიციის საფუძვლები, შესავალი ფოტოგრაფიაში, ფოტოკამერა/სისტემები/ფოტოგადაღება სპეციალიზებული, კომპლექსური კომპონენტებისკენ, როგორებიცაა დოკუმენტური და კომერციული ფოტოგრაფია, ურბანული სივრცე და ფოტოგრაფია, თავისუფალი პროექტი და საბაკალავრო ნაშრომი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მის ინდივიდუალურობას, მკაფიოდ არის გამოკვეთილი დარგისთვის დამახასიათებელი ტექნიკური და შემოქმედებითი პროფილი ფოტოსტუდია, კამერის სისტემები, სტუდიური და გარე განათება, მაკროფოტოგრაფია, ფოტორეპორტაჟი, სინთეზური ფოტოგრაფია, რაც მას თვალსაჩინოდ განასხვავებს მონათესავე მედიახელოვნების პროგრამებისგან. აღნიშნული სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან: ხელოვნების ბაკალავრი ფოტოხელოვნებაში და ეფექტურად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროგრამის „სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების რუკა" საკმაოდ სრულყოფილადაა შევსებული, თითქმის ყველა სპეციალობის, საბაზისო და საუნივერსიტეტო კურსს მინიჭებული აქვს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის დონე, რაც ცხადად აჩვენებს ცალკეული დისციპლინების წვლილს პროგრამის საერთო შედეგების ფორმირებაში და წარმოადგენს კარგ პრაქტიკას.

პირველადი დოკუმენტაციის შესწავლისას ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა რამდენიმე მცირე, ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. კერძოდ, სასწავლო გეგმის ცალკეულ ნაწილებში კრედიტების ბლოკური განაწილების „საბაზისო", „საუნივერსიტეტო" და „არჩევითი" დისციპლინების,წარმოდგენის ფორმატი ოდნავ განსხვავდებოდა დოკუმენტის სხვადასხვა მონაკვეთში, ხოლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთდაკავშირების ცხრილი საწყის ვერსიაში ბოლომდე შევსებული არ იყო.

სააკრედიტაციო ვიზიტის შემდგომ, პროგრამის ხელმძღვანელობამ დამატებით წარმოადგინა დაზუსტებული დოკუმენტაცია, სადაც კრედიტების ბლოკური განაწილება უკვე ერთგვაროვნად და გამჭვირვალედაა ასახული პროგრამის ყველა შესაბამის ნაწილში, ხოლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა სრულადაა შევსებული. ამით ცალსახად დადასტურდა თითოეული მიზნის კავშირი შესაბამის სწავლის შედეგ(ებ)თან, აღმოიფხვრა საწყის ვერსიაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზები და დოკუმენტაციამ სრულყოფილად ასახა პროგრამის შინაგანი თანმიმდევრულობა.

გასაუბრებების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავება და განვითარება წარმოადგენს თანამშრომლობით პროცესს, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები დაინტერესებული მხარეები-აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. ამასთანავე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ საგანმანათლებლო პროგრამა „ფოტოხელოვნება" აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. ვიზიტის საწყის ეტაპზე გამოვლენილი მცირე ტექნიკური ხარვეზები დაზუსტებული დოკუმენტაციის ოპერატიულად წარმოდგენის გზით სრულად იქნა აღმოფხვრილი, რაც დადებითად ახასიათებს პროგრამის ხელმძღვანელობის მზაობასა და კონსტრუქციულ თანამშრომლობას ექსპერტთა ჯგუფთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ან/და წესი;
2. საგანმანათლებლო პროგრამა
3. თანდართული სილაბუსებით;
4. პროგრამის რუქები

5. პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის ოქმები
6. ვებგვერდი;
7. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

